



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი**



MES 5 23 0000369485



31/03/2023

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-7<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 10 ნოემბრის №1438891 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1445008, 14/11/2022) წარმოდგენილ იქნა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განაცხადი „არქეოლოგიის“ სადოქტორო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის № 1500163 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 07 დეკემბრის № 1557317 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2022 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | •                            |                                       |   |                                     |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა     | •                            |                                       |   |                                     |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                                   | •                            |                                       |   |                                     |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა   | •                            |                                       |   |                                     |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები                                      |                              | •                                     |   |                                     |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 17 მარტს. სააკრედიტაციოდ განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის,

ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ განსზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით 4,3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", რის საფუძველზეც მე-4 სტანდარტი განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან".

### 3.სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 15 ხმით 0 წინააღმდეგ,

### გადაწყვიტა:

- 1.დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 17 მარტი), 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით.
- 2.ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
- 3.ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 31 მარტის №369481 სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
- 4.დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი

### რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კურსის შეფასება და სწავლის შედეგები მოქმედ კანონმდებლობასთან.
2. რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა.
3. რეკომენდებულია, საბიბლიოთეკო რესურსის უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.
5. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის

შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.

### რჩევები:


- სასურველია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია, კურსის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მისი სწავლის შედეგების შესაბამისად

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 17 მარტიდან.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 17 სექტემბერი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმალლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი



რ. თაყაიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი



დანართი № 1

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ   |   |
|----|--|---|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება   | არქეოლოგია  |
| 2  | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა  | -   |
| 3  | სტატუსი  | აკრედიტებული  |
| 4  | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი                                | 03.07.2012 , N160   |
| 5  | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება                          | -   |
| 6  | უმაღლესი განათლების საფეხური   | დოქტორანტურა  |
| 7  | დაშვების წინაპირობები  |   |
| 8  | კვალიფიკაციის დონე   | VIII  |
| 9  | კვალიფიკაციის დასახელება   | არქეოლოგიის დოქტორი   |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | -   |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)  | 0222 ისტორია და არქეოლოგია  |
| 12 | სწავლების ენა  | ქართული   |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა   | 60  |
| 14 | განხორციელების ადგილი  | ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება                  | -   |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი   | 17/03/2023  |

|    |   |                    |
|----|---|--------------------|
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | 2025 წლის 17 მარტი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი   | 2030 წლის 17 მარტი |

